



ოქმი:ო37.37213651  
თარიღი:31/12/2021

**ოქმი N2-**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე  
სხდომის**

2021 წელი,  
28 დეკემბერი  
ქ. ოზურგეთი  
11.00 -17 .00 საათი

**თავმჯდომარეობდა :** დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. აროშიძე, ნ. გოლიაძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, პ. კილურაძე, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჭავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ნ. ჭანიშვილი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, შ. თავდიშვილი, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, თ. ტულუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

მუნიციპალიტეტის მერი- ა. თალაკვაძე, მერის პირველი მოადგილე-გ. ღურჯუმიანიძე.

საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 42-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

63.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესიკ მელუას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

## **თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42 -ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ და საკრებულოს წევრებმა მიულოცეს ბ. მელუას საკრებულოს წევრობა.

17.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

## **მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**გია მამაკაიშვილი**

**გელა ჩავლეშვილი**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 28-ხმით, 11-წინააღმდეგი.

ამ საკითხის განხილვის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს და დამსწრეთ გააცნო საკრებულოს რეგლამენტის ის მოთხოვნები, რომლის შესაბამისად უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტის განხილვა-დამტკიცება და სთხოვა როგორც საკრებულოს წევრებს, ასევე დამსწრეთ მკაცრად დაეცვათ ისინი.

კანონმდებლობის შესაბამისად სხდომის თავმჯდომარეობა გადაიბარა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვაგამ და სიტყვა მოხსენებისათვის მისცა საკრებულოს თავმჯდომარეს დ. დარჩიას, რომელმაც საკრებულოს გააცნო მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები, სიახლეები, აღნიშნა, რომ პროექტი ძირითადად, აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნებს და მადლობა გადაუხადა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს, ფრაქციებს, მუნიციპალიტეტის მერიას, მის სამსახურებს ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისათვის. შემდეგ განაგრძო სხდომის თავმჯდომარეობა და სიტყვა მოხსენებისათვის გადასცა მუნიციპალიტეტის მერს ა. თალაკვაძეს. იგი მიესალმა საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ სამუშაო პროცესში პირველად ხვდება ფართო საზოგადოებას, მიღებულ უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტი, იგი მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის განვითარებასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ, პროექტი მორგებულია დაანონსებული 8 პუნქტიანი გეგმის რეალიზაციაზე, შემდეგ ისაუბრა ძირითად პარამეტრებზე, აღნიშნა, რომ პანდემიის გამო დაზარალებული ეკონომიკის აღმავლობა იქნება ძირითადი ამოცანა, ილაპარაკა საკურორტო ინდუსტრიის განვითარებაზე, პერსპექტივებზე, გრანტებზე, რომელიც მოხმარდება ქ. ოზურგეთის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების პრობლემის გადაჭრას. ასევე ისაუბრა, ქალაქის 24-საათიან წყალმომარაგებაზე, სიახლეებზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, ეკოლოგიასა და გარემოს დაცვაში, კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და

ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობაზე, მიუსაფარი ცხოველების თავმესაფრის მოწყობასა და სხვა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ბიუჯეტის პროექტის მუხლობრივად წარმოდგენისათვის სიტყვა გადასცა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსს პ. ჭყონიას, საკრებულოს წევრმა თ. ნიკოლაშვილმა პ. ჭყონიას მოხსნების დაწყებამდე ითხოვა სიტყვა, სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა რეგლამენტის დაცვისაკენ, რასაც მოჰყვა ხმაური. სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ დ. მჟავანაძეს მოუწოდა დაეცვა რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუმცა მან განაგრძო ხმაური, რის შემდეგ დ. მჟავანაძეს თავმჯდომარის დ. დარჩიას მიერ მიეცა გაფრთხილება, რაც დაფიქსირდა ოქმში. შემდეგ პ. ჭყონიამ კონკრეტული მუხლებისა და პროგრამების მიხედვით გააცნო საკრებულოს წევრებს პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა მოხსენებისათვის გადასცა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს გ. ჩავლეშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი და მხარს უჭერს მას, მოუწოდა კოლეგებს მისი მხარდაჭერისაკენ. ამის შემდეგ საკრებულო წევრებმა მომხსენებლებს, ძირითადად მუნიციპალიტეტის მერს, დაუსვეს შეკითხვები: საკრებულოს წევრმა რ. დუმბაძემ-დაბებში ლაითურსა და ნარუჯაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციაზე; თ. ნიკოლაშვილმა- ბიუჯეტის შემცირების მიზეზებზე, სახელფასო ფონდის გაუმართლებელ ზრდაზე, სპორტის, კულტურის განვითარებისათვის გამოყოფილი ასიგნებების სიდიდეზე, მაშინ, როცა ამდენი შეჭვივრებული ადამიანია მუნიციპალიტეტში, მწვრთნელების უპრეცედენტო რაოდენობის ხელფასებზე, ინტერნეტიზაციის პრობლემებზე. საკრებულოს წევრმა გ. შარაშენიძემ განაცხადა, რომ ა. თალაკვაძეს უნდა რცხვენოდეს, რომ მოსყიდვებითა და გაყალბებებით გახდა მერი; შ. თავდიშვილი დაინტერესდა რამდენი დაჯდა საახალწლო ნაძვის ხის საზეიმოდ ანთების კონცერტი? ვინ მოიტანა საარჩევნოდ სოფელ ძიმიტში წყლის ავზები?; საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვაამ დასვა შეკითხვები: ქ. ოზურგეთში ავტოტრანსპორტის პარკირების პრობლემაზე; ქალაქის ცენტრალურ ნაწილში სანიაღვრე არხების, შენობების ფასადების მოწესრიგებაზე - ა. თალაკვაძის, გენდერული ასპექტების ინდიკატორების მიერ არსებული მდგომარეობის ასახვაზე - პ. ჭყონიას მისამართით; ამასთან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი ერთ-ერთი საუკეთესოა და კოლეგებს მოუწოდა მისი მხარდაჭერისაკენ. საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ დასვა შეკითხვა თეატრალური მოედნისა და „ჭადრების ბაღის“ რეაბილიტაციაზე; საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემ დასვა შეკითხვა მუნიციპალიტეტის მიერ სახელფასო ფონდიდან თვეში გაცემული თანხის რაოდენობაზე, დვაბზუ-ცხემლისხიდის წყალსადენის მშენებლობის უპერსპექტივობაზე, დაბა ნასაკირალსა და სოფელ ნაგომარში საბავშვო ბაღების მშენებლობაზე.

13.40-საათზე გამოცხადდა შესვენება 30-წუთით. შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 42 წევრმა.

სხდომა გაგრძელდა 14.25-საათზე. მუნიციპალიტეტის მერმა ა. თალაკვაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს. აღნიშნა, რომ მოქალაქეთა სოციალურ დახმარებაზე სახელმწიფო ხარჯავს 6 მილიარდ ლარს, დანარჩენებს ავსებენ მუნიციპალიტეტები, სახელფასო ხარჯებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მერიის არსებული სტრუქტურა დასახვეწია, 800 ძალზე დაგეგმილი

თავმესაფრის მოწყობა-ცხოველები გაცილებით მეტი იქნება, სერიოზული თანხები იხარჯება კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე და არა "ტაშ-ფანდურზე" როგორც ოპონენტები აცხადებენ, ისაუბრა ოზურგეთელი სპორტსმენების სერიოზულ წარმატებებზე, სოფელ ძიმითში წყლის ავზები შეიძინა მოსახლეობამ, საახალწლო ნაძვის ხის საზვიმოდ ანთების კონცერტმა მოსახლეობის მოწონება დაიმსახურა, მუნიციპალიტეტის ინტერნეტიზაცია გაგრძელდება, ბიუჯეტი სერიოზულადაა გაზრდილი, მიუხედავად პანდემიისა, სოფელ ნაგომარში დაიწვა ადმინისტრაციული შენობა, საბავშვო ბაღი და საექიმო ამბულატორია, გაირკვა, რომ ამ შენობის რეაბილიტაცია დააფინანსა იაპონიის საელჩომ, ქალაქად ავტოტრანსპორტის პარკირების პრობლემა გადაწყდება; თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ უპასუხა ლ. ბიგვაგას შეკითხვას.

საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ ნასაკირალის საბავშვო ბაღზე კონკრეტული პასუხი ვერ მოისმინა. მისახედია, რომ მეეზოვეს 180 ლარი აქვს ხელფასი და მის ზედამხედველს 700. რ. დუმბაძემაც აღნიშნა, რომ ვერც მან მოისმინა კონკრეტულად როდის დაიწყება შიდა გზების რეაბილიტაცია, საკრებულოს წევრმა დ. მუავანაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტიდან ხელშეკრულებების ჩათვლით 14 მილიონამდე ლარი იხარჯება ხელფასებში, დიდი წილი პარტია „ქართული ოცნების“ აქტივისტებია, ამიტომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარს არ დაუჭერს ამ პროექტს.

შეკითხვებს უპასუხა მუნიციპალიტეტის მერმა ა. თალაკვაძემ. საკრებულოს წევრმა შ. თავდიშვილმა ითხოვა კონკრეტულად დასახელებულიყო საჯარო სკოლებში ინტერნეტის შეყვანის დასრულების თარიღი. განაცხადა, რომ თანამდებობის პირები იზრდიან ხელფასებს, საბავშვო ბაღების პედაგოგ აღმზრდელებს კი არ ეზრდებათ.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, გ. ლურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ფულადი-საკრედიტო ურთიერთობა საქართველოში ხორციელდება ლარებში, ამიტომ ოპონენტების განცხადება საბიუჯეტო თანხების ამერიკულ დოლარებში გადააანგარიშებაზე გაუგებარია.

ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ალ. ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის მიმართ აქვს შენიშვნები ამიტომ მხარს არ დაუჭერენ მას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეს ქ. ხომერიკს, რომელმაც განაცხადა, რომ კომისიის სხდომაზე იმსჯელეს და მხარს უჭერენ კორექტირებულ პროექტს, მანაც მოუწოდა კოლეგებს პროექტის მხარდაჭერისაკენ.

სიტყვა გადაეცა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს მ. ჩხიკვიშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ ფრაქციამ განიხილა ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი და მოიწონა იგი. მიულოცა კოლეგებსა და დამსწრეთ დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ჯერ ცალ-ცალკე უყარა კენჭი ბიუჯეტის ოცივე მუხლს, სადაც მომხრე ყოველთვის იყო საკრებულოს 28- წევრი, წინააღმდეგი 11, შემდეგ კი მთლიანად ბიუჯეტს, რომელიც მიღებულ იქნა 28 -ხმით, წინააღმდეგი 11.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ბიუჯეტის მიღება მიულოცა კოლეგებსა და დამსწრე საზოგადოებას.

64.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

65.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გია მამაკაიშვილი**

**გელა ჩავლეშვილი**

მიმოხილვა საკრებულომ მიიღო ცნობად.

66.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბანასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6228.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 26.29.24.120) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (სკოლის შენობა) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ სკოლის შენობა უკვე დაზიანებულია, სახურავიდან ჩამოდის წყალი, სველ წერტილებში არ არის წყალი, შეძენილი იქნა ავზი, რომლის დადგმის ნებას არ იძლევიან. მერის პირველმა მოადგილემ გ. ლურჯუმელიძემ განაცხადა, რომ დაბა ნასაკირალს წყალი მიეწოდება დღეგამოშვებით, შეძენილია ავზი, მოგვარებულია სკოლის გაზიფიკაცია - ელექტროფიკაციის საკითხი. გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს მშენებელ კომპანიას.

67.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

8. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახურის შიდა აუდიტორულ ანგარიშის განხილვის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი**

ანგარიში საკრებულომ მიიღო ცნობად.

68.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“-ს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

საკრებულოს წევრ ნ. ჭანიშვილის წინადადებით საბჭოს შემადგენლობას დაემატა საკრებულოს წევრი ეროდი გორდელაძე.

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით

წარმოდგენილი პეტიციის, ქ. ოზურგეთში, ჩოხატაურის ქუჩაზე სკვერის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პეტიციის შედეგების განხილვის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: თემურ გიორგაძე**

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

69.11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგავა**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42- ხმით

საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადად განისაზღვრა 10-დღე-მომდევნო საკრებულოს სხდომამდე.

70.12. „ღია მართველობა-პარტნიორობის ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში სამოქმედო გეგმისა და მონიტორინგის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42 -ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ კოლეგებსა და დამსწრეთ მიულოცა დამდები შობა-ახალი წელი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცება.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

